



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 3

ქ. გარდაბანი



31/01/2023

3-06-4-202301311628

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთის ტერიტორიაზე შპს „პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენცის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №81.03.16.021) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ-ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მესამე მუხლის მე-6 პუნქტის, მე-15 მუხლის, მე-19 მუხლის პირველი და მესამე პუნქტებისა და „ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტების - თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 2 დეკემბრის №1067-VIმს-Xმპ დადგენილების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთის ტერიტორიაზე შპს „პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენცის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №81.03.16.021) განაშენიანების დეტალური გეგმა, თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე